სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 ივლისი, 2024 წელი

ბრძანება №01-02/116

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ანდრია როგავას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, დებულების მე-7-8 მუხლების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილების, **ანდრია როგავას** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის № 01-08/467 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 სექტემბრის №06-01/82დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/79 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (05.07.2024, ოქმი N22-20/5) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (MES 8 24 0000822438, 08/07/2024)

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„არქეოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანდრია როგავას** სადისერტაციო ნაშრომის **„ელინისტური და რომაული პერიოდის კოლხური ამფორების ტექნოლოგია და წარმომავლობა ზღვისპირა აჭარის რეგიონში (არქეომეტრიული კვლევა)“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2024 წლის 22 ივლისს, 15:00 საათზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„არქეოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ნანა ხახუტაიშვილი -ბსუ-ს პროფესორი (**კომისიის თავმჯდომარე**);

2.2. მაია კიკვაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი)**;

2.3. ემზარ კახიძე - ბსუ-ს პროფესორი;

2.4. გიორგი თავამაიშვილი -ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2.5. ირინა ვარშალომიძე - ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

2.6. თამარ შალიკაძე - არქეოლოგიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი;

2.7. ლაშა ასლანიშვილი- ისტორიის დოქტორი, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსების, არქეოლოგიისა და საგანმანათლებლო განყოფილების უფროსი;

2.8. ტარიელ ებრალიძე- ისტორიის დოქტორი (ბსუ);

2.9. ნარგიზ სურმანიძე- ისტორიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი;

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ. კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**